დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109241162**

თარიღი:**25/04/2024**

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Ng-109. 109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Ng-109.109233321 განკარგულების პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 02 06)“ დანართი N16, ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 16

ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 06)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2 . ქვეპროგრამის ამოცანა

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

მუხლი 3. ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირების ტრანსპორტირება - ქ. დმანისიდან - ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან - ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში ერთი დღე (საჭიროების შემთხვევაში კვირაში ორი დღე).
2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.
3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.
4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) კვირაში ორი დღე - სოფელი დაგარახლო - ქ.დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ დაგარახლოს მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი ამამლო - ქ.დმანისის და ქ.დმანისი - სოფელ ამამლოს მიმართულებით;

გ) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

დ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;

ე) კვირაში ორი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (დღეში 2 რეისი);

ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;

ზ) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;

თ) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;

ი) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მინართულებით;

კ) სასწავლო დღეებში - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება სოფელი ახალი გოდაგდაგი - სოფელი ზემო კარაბულახი - სარკინეთი და სოფელი სარკინეთი - ზემო კარაბულახი- სოფელი ახალი გოდაგდაგის მიმართულებით (ორი რეისი);

5. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. მე - 4 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 4. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.